

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

სადოქტორო პროგრამა „კომპოზიცია“ მისაღები გამოცდის მოთხოვნები სპეციალობაში

გამოცდა სპეციალობაში (დადებითი შეფასება: 71 - 100).

სპეციალობაში აპლიკანტის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება **საკუთარი შემოქმედების პრეზენტაციისა და გასაუბრების, ასევე კვლევითი განაცხადისა და გასაუბრების კომპონენტებში მიღებული შეფასებების ჯამით.**

დარგობრივი კომისიის მიერ შესაფასებელი კომპონენტები:

წინასწარი შეფასება. შეფასებას ექვემდებარება რეგისტრაციისას წარმოდგენილი ორი ნაწარმოები, და საპროექტო განაცხადი; რომელიც განსაზღვრავს აპლიკანტის გამოცდის სხვა კომპონენტებზე დაშვება/არ დაშვების საკითხს.

პრეზენტაცია და გასაუბრება საკუთარი შემოქმედების შესახებ. პრეზენტაციაზე (30-60 წუთი) აპლიკანტმა უნდა ისაუბროს საკუთარ შემოქმედებით იდეებზე და განხორციელებულ პროექტებზე, ნაწარმოების/ების შექმნის პროცესზე, გამოყენებულ საკომპოზიციო მეთოდებსა და ტექნიკურ ხერხებზე (პრეზენტაციის დროს სავალდებულოა გამოგზავნილი ორი ნაწარმოების შესახებ საუბარი); წარმოდგენილი უნდა იქნეს აკუსტიკური ინსტრუმენტებისათვის შექმნილი ნაწარმოების/ების ამობეჭდილი პარტიტურები და პრეზენტაციაში უნდა მოხდეს მათი აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის დემონსტრირება; ხოლო ელექტრონული და აუდიოვიზუალური კომპოზიციების პრეზენტაციის დროს წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც wave ან mp3 ფაილი, ასევე იმავე კომპიუტერული პროგრამის ფაილები, სადაც ეს ნაწარმოები შეიქმნა. პრეზენტაციის შემდეგ მოხდება აპლიკანტთან გასაუბრება მის შემოქმედებაზე.

პრეზენტაცია და გასაუბრება საპროექტო განაცხადის ირგვლივ. აპლიკანტმა უნდა ისაუბროს (10 წუთი) მომავალ სადისერტაციო თემაზე და აღწეროს საკვლევ საკითხი, ყურადღება უნდა გაამახვილოს საკვლევის თემის აქტუალობასა და სამეცნიერო სიახლეზე, კვლევის შედეგებზე, კვლევის მეთოდოლოგიასა და განხორციელების გზებზე. მომავალი სადისერტაციო კვლევის თემატიკა უნდა იყოს დაკავშირებული აპლიკანტის შემოქმედებით-პრაქტიკული საქმიანობის სფეროსთან. პრეზენტაციის შემდეგ მოხდება აპლიკანტთან გასაუბრება საკვლევ პრობლემემატიკის ირგვლივ.

შენიშვნა: აპლიკანტი გამოცდაზე უზრუნველყოფილი იქნება პროექტორით, აუდიო სპიკერებით და ლეპტოპით; თუ პრეზენტაციისთვის აპლიკანტს სურს შემოთავაზებული ლეპტოპის გამოყენება, მან კონსერვატორიის პასუხისმგებელ პირს წინასწარ უნდა გამოუგზავნოს/მიანოდოს პრეზენტაციისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების ჩამონათვალი.